ცხრილი 5.10. ატმოსფერული ჰაერის მრავალწლიურ საშუალო ტემპერატურათა მნიშვნელობები (^{0}C).....21
ცხრილი 5.11. ატმოსფერული ჰაერის დღეღამურ მინიმალურ ტემპერატურათა საშუალო მნიშვნელობები (^{0}C).....21
ცხრილი 5.12. ატმოსფერული ჰაერის აბსოლუტურ მინიმალურ ტემპერატურათა საშუალო მნიშვნელობები (^{0}C).....21
ცხრილი 5.13. ატმოსფერული ჰაერის დღეღამურ მაქსიმალურ ტემპერატურათა საშუალო მნიშვნელობები (^{0}C).....21
ცხრილი 5.14. ატმოსფერული ჰაერის აბსოლუტურ მაქსიმალურ ტემპერატურათა მნიშვნელობები (^{0}C).....21
ცხრილი 5.15. ფარდობითი ტენიანობა.....21
ცხრილი 5.16. ატმოსფერული ნალექების ჯამის საშუალო მნიშვნელობები (მმ).....22
ცხრილი 5.17. ნისლიან დღეთა რაოდენობა წელიწადში.....22
ცხრილი 5.18. ქარის სხვადასხვა მიმართულებების განმეორადობა.....22
ცხრილი 5.19. ქარის საშუალო თვიური და წლიური სიჩქარე.....22
ცხრილი 5.20. ნიადაგის ზედაპირის საშუალო თვიური, მაქსიმალური და მინიმალური ტემპერატურა.....22
ცხრილი 5.21. ავტომატურ სადგურზე PM_{10}, $PM_{2.5}$ და NO_2 გაზომვის შედეგები.....42

ცხრილი 5.22. გარემოს ეროვნული სააგენტოს სადგური მონაცემები 2023 წლის ნოემბრის თვე, (NO_2, SO_2, $PM_{2.5}$, PM_{10}, O_3 -მკგ/მ^3; CO-მგ/მ^3) 43

ცხრილი 5.23. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების კონცენტრაციის ზღვრული მნიშვნელობები..... 44

ცხრილი 5.24. ინდიკატორული გაზომვების ოთხი ეტაპის შედეგები ქალაქ ბათუმში 47

ცხრილი 6.1. სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება..... 48

ცხრილი 7.1. სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებისას მოსალოდნელი ზემოქმედების პრევენციისა და თავიდან აცილების რეკომენდაციები/შემარბილებელი ღონისძიებები 71

ცხრილი 10.1. ინფორმაცია სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების შესახებ. 80

1 შესავალი

დაგეგმვის ობიექტს წარმოადგენს ქ. ბათუმში, გ. ბრწყინვალეს ქ. N62; 66-ში მდებარე მიწის ნაკვეთები (ს/კ: 05.07.23.013; 05.27.23.001; 05.27.23.055), სადაც დაგეგმილია მრავალფუნქციური ობიექტის მშენებლობა.

განაშენიანების დეტალური გეგმის მომზადების საფუძველს წარმოადგენს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის 2023 წლის 22 ნოემბრის ბრძანება №14. 142332654 ქ. ბათუმში, გ. ბრწყინვალეს ქ. N62; 66-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე: ს/კ.05.07.23.013; 05.27.23.001; 05.27.23.055) მრავალფუნქციური ობიექტის მშენებლობისათვის განაშენიანების დეტალური გეგმის დამუშავებისათვის ინიცირების გაცემის შესახებ.

განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფცია, როგორც ხედვა/მონახაზი, მიწათსარგებლობის ქვეზონებისათვის აზუსტებს ცალკეული გეგმარებითი ერთეულების განაშენიანების არქიტექტურულ-გეგმარებით და სივრცით მოცულობით მახასიათებლებს, შენობების განთავსებას, მათ გეგმარებით პარამეტრებს. აზუსტებს განვითარების ქალაქთმშენებლობით მახასიათებლებს, რელიეფის ორგანიზებას, ტერიტორიების კეთილმოწყობასა და გამწვანებას, საინჟინრო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფას.

2 პროექტის მოკლე აღწერა

საპროექტო ტერიტორია მოიცავს სამ საკადასტრო ერთეულს (ს. კ.05.07.23.013; 05.27.23.001; 05.27.23.055), რომელთა ჯამური ფართობი 2424კვ.მ-ია.

ტერიტორიის სამშენებლო განვითარების მიზანია:

- გამოყენების სახეობა: მრავალფუნქციური, საცხოვრებელი, საოფისე, საგანმანათლებლო, სპორტულ-გამაჯანსაღებელი და კომერციული კომპლექსი/უბანი;
- ფუნქცია: საზოგადოებრივი, საქმიანი, კომერციული, საგანმანათლებლო საცხოვრებელი, სპორტულ-გამაჯანსაღებელი.

მითითებული პროფილის ობიექტების გაჩენით საპროექტო უბანი გეგმარდება თვითკმარი ერთეულის მახასიათებლებით; საოფისე ფუნქციის განვითარებისთვის დაგეგმილია დაახლოებით 2000 კვ.მ-ს მქონე მოცულობების გაჩენა, ასევე ნაწილობრივ კომერციული ფართებით დაიტვირთება I და II სართულები. მთელი საპროექტო არეალის ფარგლებში იგეგმება დაახლოებით 727კვ.მ მწვანე საფარის დაგეგმარება, რაც ჯამში მთელი ტერიტორიის 30%-ს შეადგენს. აქედან ერთი ბავშვთა გასართობი სივრცე მოიცავს 290.00 კვ.მ-ს, რომელიც განთავსებული იქნება კვარტლის შუაში, რაც წარმოადგენს საპროექტო წინადადების ფარგლებში ძალზედ მნიშვნელოვან საჯარო ინტერესს და სახელდება წამყვან, უმთავრეს მაკომპენსირებელ გარემოებად დღეს არსებული გაუნაშენიანებელი-სარეზერვო სივრცის სამშენებლო რესურსის გამოყენებაში. მითითებული რეკრეაციული სივრცე, თავისი მდებარეობის და საპროექტო წინადადებით დაგეგმილი ხარისხობრივი. მახასიათებლების მიხედვით, კვარტალური მოხმარების რეკრეაციული თავშეყრის სახეს მიიღებს.

საპროექტო ტერიტორია არის კერძო საკუთრებაში და დამკვეთს დაგეგმილი აქვს თანამედროვე სტანდარტების მქონე, თვითკმარი მრავალფუნქციური კომპლექსის-უბნის მოწყობა. ახალი უბანი დაგეგმარდება თანამედროვე, უსაფრთხო და ინფრასტრუქტურულად გამართული მიდგომებისა და ტექნოლოგიების გამოყენებით. როგორც უკვე აღინიშნა, საპროექტო ლოკაციის შემოთავაზებული კონცეფციის ფარგლებში განვითარება კომპენსირდება განაშენიანების კოეფიციენტის საშუალო მაჩვენებლით; სრულყოფილი სარეკრეაციო და საზოგადოებრივი სექტორის განვითარებით; ასევე, საპროექტო განაშენიანების მაღალი ხარისხობრივი მაჩვენებლებით.

საპროექტო ტერიტორია მიწასთარგებლობის გენერალური გეგმის მიხედვით განთავსებულია მაღალი ინტენსიობის საცხოვრებებელ ზონაში (სზ-4), ხოლო კ2 კოეფიციენტის გადაჭარბების სქემა შემდეგნაირია:

#	დადგენილი კ-1	გადაჭარბებული	საპროექტო კ-1
1	კ-1 = 0.5	0.0	კ-1 = 0.5
2	კ-1 =1 212 კვ.მ	0.0 კვ.მ	კ-1 = 1 008 კვ.მ
#	დადგენილი კ-2	გადაჭარბებული	საპროექტო კ-2
1	კ-2 = 2.5	4.5	კ2 = 7.0
2	კ-2 = 6 060 კვ.მ	9 060 კვ.მ	კ-2 = 15 120 კვ.მ
#	დადგენილი კ-3	გადაჭარბებული	საპროექტო კ-2
1	კ-3 = 0.3	0.0	კ-3 = 0.3
2	კ-3 = 727	0.0 კვ.მ	კ-3 = 727

ილუსტრაცია 2.1. საპროექტო ტერიტორიის სიტუაციური გეგმა ექსპლიკაციით

სიტუაციური რუკა ექსპლიკაციით



① საპროექტო ტერტიტორია

② ხოზრევანიძის კლინიკა

③ იალჩინ მარკეტი

④ ბენზინგასამართი სადგური ვისოლი

⑤ ბენზინ გასამართი სადგური

ილუსტრაცია 2.2. საპროექტო ტერიტორიის გენერალური გეგმა



ილუსტრაცია 2.3. საპროექტო ტერიტორიის აეროფოტოები













კვლევის ფოტო განშლა-I




კვლევის ფოტო განშლა-II
8
9
10
11
12
13
14

ილუსტრაცია 2.4. მაქსიმალური სიმაღლის განსაზღვრა





ილუსტრაცია 2.5. პირველი სართულის გეგმა



ილუსტრაცია 2.6. მეორე სართულის გეგმა



ილუსტრაცია 2.7. ტიპიური სართულის გეგმა



ილუსტრაცია 2.8. ხედი ფოტომონტაჟამდე



ილუსტრაცია 2.9. ხედი ფოტომონტაჟს შემდეგ



საპროექტო ტერიტორიაზე ამჟამად წარმოდგენილია სადემონტაჟო საცხოვრებლები. აღნიშნული საცხოვრებლების დემონტაჟის პერიოდში ადგილი ექნება სამშენებლო და ნგრევის ნარჩენების წარმოქმნას, რომელთა გატანაც მოხდება სპეციალური ტექნიკით ქალაქ ბათუმის მერიასთან შეთანხმების საფუძველზე.

კომპლექსის მოწყობის პერიოდში დაახლოებით გამოსაყენებელი ტექნიკა იქნება:

1. კოშკურა ამწე კრანი;
2. 2 ერთეული მუხლუხოებიანი ტრაქტორი (დროებით გამოყენებისთვის);
3. ერთი შედარებით მცირე ტრაქტორი
4. გრუნტის და ნარჩენების გატანისთვის სამი ერთეული 25 ტ-ის ამწევი მანქანა;
5. ასევე მშენებლობის პერიოდში მოხდება ბეტონმზიდი მანქანების გამოყენება, რომელთა ზუსტი რაოდენობის განსაზღვრა მოხდება კონკრეტულ კომპანიასთან/პირთან შეთანხმების მიხედვით.

შენიშვნა: ინფორმაცია ზემოთ წარმოდგენილი ტექნიკის შესახებ საორიენტაციოა და შესაძლოა სამუშაოების წარმოების პერიოდში რაოდენობებსა და ტიპებში გარკვეული ცვლილებები შევიდეს.

საპროექტო კომპლექსის მშენებლობის პერიოდში დასაქმებული იქნება დაახლოებით 30 დან 40 ადამიანამდე.

ობიექტის მშენებლობისათვის გამოსაყენებელი მასალების მიღება ძირითადად უახლოესი ადგილობრივი ბაზრიდან მოხდება.

პროექტის განხორციელების რიგითობა

პროექტის განხორციელდება შემდეგი ეტაპებით და რიგითობით:

- ტერიტორიის შემოღობვა სამშენებლო ღობით.
- საპროექტო ტერიტორიაზე არსებული შენობა-ნაგებობების დემონტაჟი და ნარჩენების გატანა.
- დენდროლოგიის მიერ აღწერილი ხე მცენარეების მოჭრა/გადარგვა
- მიწის (გრუნტის ამოღება) გრუნტის გაზიდვა.
- გრუნტის წყლების ტექნიკური მართვა.
- საძირკვლის ფილის მოწყობა (რკინაბეტონის სამუშაოები).
- მონოლითური კედლების ამოყვანა.
- მიწის 0,00 ნიშნულზე ფილის მოწყობა.
- კოშკურა ამწეს მოწყობა მონტაჟი.
- რკინაბეტონის სართულების კონსტრუქციების მონტაჟი მოწყობა.
- პარალელურ რეჟიმში ნულოვანი სართულიდან კედლების ამოყვანა.
- მოპირკეთებითი სამუშაოები სართულების მიხედვით.
- კარ-ფანჯრების მონტაჟი.
- კომუნიკაციების მოწყობა.
- ეზოს მოპირკეთება.
- ღობის დემონტაჟი.

განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების განსახორციელებლად სულ საჭირო იქნება 2 წელი.

3 ინფორმაცია საქმიანობის განხორციელების ადგილის გარემოს ფონური მდგომარეობის შესახებ

3.1 კლიმატური პირობები

კლიმატური თვალსაზრისით, საკვლევ ტერიტორიაზე გავრცელებულია ზღვის სუბტროპიკული კლიმატის ნოტიო ოლქის ჰავა. ტერიტორიის ნაწილი (სანაპირო ზოლი) მიეკუთვნება ზღვის ნოტიო კლიმატურ ზონას რბილი, თბილი, უთოვლო ზამთრით და ცხელი ზაფხულით. აღნიშნული ზონის ფარგლებში, რომელიც ვრცელდება კოლხეთის დაბლობზე, კლიმატური თავისებურებებით გამოიყოფა რამდენიმე ქვეზონა. მათ შორის, აჭარის სანაპირო ზოლი, რომელსაც მიეკუთვნება საკვლევი ტერიტორია და, სადაც, ზონის დანარჩენ ტერიტორიასთან შედარებით, ჭარბად ნოტიო კლიმატია მთელი წლის მანძილზე გაბატონებული ზღვიდან მონაბერი ქარებით.

სანაპირო შავი ზღვის უშუალო გავლენის ქვეშ იმყოფება. ადგილის რელიეფი ასევე განაპირობებს ნალექების სიუხვეს დასავლეთიდან ცივი ჰაერის მასების შემოჭრის დროს. შედეგად, აჭარის სანაპირო ქვეყნის დანარჩენ ტერიტორიაზე გამოირჩევა თბილი, რბილი და ტენიანი კლიმატით.

საკვლევი ტერიტორიის კლიმატური პირობების დახასიათებისთვის გამოყენებულია „ბათუმი ქალაქი“-ს და „ბათუმი აეროპორტი“-ს სადამკვირვებლო სადგურის მონაცემები სამშენებლო კლიმატოლოგია (პნ 01.05-08)-ს მიხედვით:

„ბათუმი ქალაქი“-ს დაკვირვების სადგურის მონაცემები სამშენებლო კლიმატოლოგია (პნ 01.05-08)-ს მიხედვით:

- ჰაერის აბსოლუტური მინიმალური ტემპერატურა: -9;
- ჰაერის აბსოლუტური მაქსიმალური ტემპერატურა: +41;
- ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა: +14.5;
- ჰაერის შეფარდებითი ტენიანობა (საშუალო წლის განმავლობაში): 81%
- ნალექების რაოდენობა წელიწადში: 2599 მმ;
- ნალექების რაოდენობა დღე-ღამეში: 231 მმ;
- ირიბი წვიმების რაოდენობა წელიწადში: 840 მმ;
- თოვლის საფარის წონა: 0.5 კპა;
- თოვლის საფარის დღეთა რიცხვი: 10.

ცხრილი 3.1. სამშენებლო-კლიმატური რაიონების მახასიათებლები

კლიმატური რაიონები	კლიმატური ქვერაიონები	იანვრის საშუალო ტემპერატურა, ^{0}C	ზამთრის 3 თვის ქარის საშუალო სიჩქარე, მ/წ	ივლისის საშუალო ტემპერატურა, ^{0}C	ივლისის ფარდობ ითი ტენიანობ ა, %
1	2	3	4	5	6
III	IIIბ	+2-დან +6-მდე	-	+22-დან +28-მდე	50 და მეტი 13ს

ცხრილი 5.2. სამშენებლო-კლიმატური დარაიონება

N	პუნქტების დასახელება	კლიმატური რაიონები და ქვერაიონები

1	2	3
8	ბათუმი, ქალაქი	III ბ

ცხრილი 3.3. მზის ამოსვლის (a) და ჩასვლის (C) საშუალო მზიური დრო თვის 15 რიცხვისათვის (საათი, წუთი)

განედი, გრადუსი	ორიენტაცია მხარეების მიხედვით	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14
41	ა	7.22	6.54	6.12	5.22	4.43	4.27	4.40	5.09	5.39	6.11	6.48	7.17
	ჩ	16.56	17.34	18.06	18.38	19.09	19.33	19.32	19.01	18.11	17.21	16.40	16.32

ცხრილი 5.4. ჰაერის ტემპერატურის ამპლიტუდა

პუნქტების დასახელება	თვის საშუალო, ^{0}C												თვის მაქსიმალური, ^{0}C											
	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მარტი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მარტი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი
ბათუმი, ქალაქი	7,4	7,3	7,5	7,1	7,0	7,3	6,	7,0	7,6	8,2	7,9	7,5	17,4	17,9	19,2	21,2	19,1	18,5	17,5	15,8	16,6	16,0	17,0	15,0

ცხრილი 5.5. ჰაერის ფარდობითი ტენიანობა

პუნქტების დასახელება	გარე ჰაერის ფარდობითი ტენიანობა, %												საშ. ფარდ. ტენიანობა 13 საათზე		ფარდ. ტენია-ნობისსაშ. დღეღამური ამპლიტუდა	
	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი	წლის საშუალო	ყველაზე ცივი	ყველაზე ცხელი თვის	ყველაზე ცივი თვის	ყველაზე ცხელი თვის
ბათუმი, ქალაქი	76	78	80	81	82	80	81	83	85	86	83	77	81	70	73	9	12

ცხრილი 5.6. ნალექების რაოდენობა

N	პუნქტების დასახელება	ნალექების რაოდენობა წელიწადში, მმ	ნალექების დღეღამური მაქსიმუმი, მმ
18	ბათუმი, ქალაქი	2599	231

ცხრილი 5.7. თოვლის საფარი

პუნქტების დასახელება	თოვლის საფარის წონა, კპა	თოვლის საფარის დღეთა რიცხვი	თოვლის საფარის წყალშემცველობა, მმ
ბათუმი, ქალაქი	0,50	10	-

ცხრილი 5.8. ქარის მახასიათებლები

პუნქტების დასახელება	ქარის უდიდესი სიჩქარე შესაძლებელი 1,5,10,15,20 წელიწადში ერთხელ, მ/წმ					ქარის მიმართულების განმეორებადობა (%)იანვარი, ივლისი								ქარის საშუალო უდიდესი და უმცირესი სიჩქარე, მ/წმ		ქარის მიმართულებისა და შტილის განმეორებადობა (%) წელიწადში								
	1	5	10	15	20	ჩ	ჩა	ა	სა	ს	სდ	დ	ჩდ	იანვარი	ივლისი	ჩ	ჩა	ა	სა	ს	სდ	დ	ჩდ	შტილი
ბათუმი, ქალაქი	19	24	26	27	28	6/5	6/3	10/3	18/6	14/15	33/33	8/20	5/15	3,8/1,0	2,2/0,8	9	7	8	11	14	31	12	8	43

ცხრილი 5.9. გრუნტების სეზონური გაყინვის ნორმატიული სიღრმე, სმ

პუნქტების დასახელება	თიხოვანი და თიხნარი	წვრილი და მტვრისებრი ქვიშის ქვიშნარი	მსხვილი და საშ. სიმსხვილის ხრეშისებური ქვიშის	მსხვილნატეხი
ბათუმი, ქალაქი	0	0	0	0

ქვემოთ მოცემულ ცხრილებში წარმოდგენილია კლიმატური მახასიათებლები ბათუმის აეროპორტის მეტეო სადგურის მიხედვით.

ცხრილი 5.10. ატმოსფერული ჰაერის მრავალწლიურ საშუალო ტემპერატურათა მნიშვნელობები (^{0}C)

თვე	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	საშ
0C	6.9	6.8	8.7	11.7	15.8	19.5	22.1	22.6	19.8	16.5	12.4	8.9	14.3

ცხრილი 5.11. ატმოსფერული ჰაერის დღეღამურ მინიმალურ ტემპერატურათა საშუალო მნიშვნელობები (^{0}C)

თვე	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	საშ
0C	3.5	3.3	5.1	7.9	12.5	16.3	19.2	19.4	16.4	12.9	9.1	5.8	11.0

ცხრილი 5.12. ატმოსფერული ჰაერის აბსოლუტურ მინიმალურ ტემპერატურათა საშუალო მნიშვნელობები (^{0}C)

თვე	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	საშ
0C	-9	-8	-7	-2	2	9	13	13	7	2	-6	-7	-9

ცხრილი 5.13. ატმოსფერული ჰაერის დღეღამურ მაქსიმალურ ტემპერატურათა საშუალო მნიშვნელობები (^{0}C)

თვე	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	საშ
0C	10	11.1	12.9	16.1	20.1	23.2	25.5	26.2	23.9	21.0	16.6	13.0	18.4

ცხრილი 5.14. ატმოსფერული ჰაერის აბსოლუტურ მაქსიმალურ ტემპერატურათა მნიშვნელობები (^{0}C)

თვე	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	საშ
0C	25	28	32	39	39	40	40	40	37	33	30	28	40

ცხრილი 5.15. ფარდობითი ტენიანობა

თვე	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	საშ
%	67	71	75	77	79	78	80	81	82	78	70	64	75

ცხრილი 5.16. ატმოსფერული ნალექების ჯამის საშუალო მნიშვნელობები (მმ)

თვე	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	საშ
მმ	281	228	174	122	92	163	182	255	335	306	304	276	2718

ცხრილი 5.17. ნისლიან დღეთა რაოდენობა წელიწადში

თვე	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	საშ
დღე	0.2	0.4	0.7	2	2			0.5			0.2		6

ცხრილი 5.18. ქარის სხვადასხვა მიმართულებების განმეორადობა

ჩრდილ.	ჩრდ.აღმ	აღმ.	სამხ.აღმ	სამხ.	სამხ.დას	დას.	ჩრდ.დას	შტილი
4	1	3	54	2	20	11	5	19

ცხრილი 5.19. ქარის საშუალო თვიური და წლიური სიჩქარე

თვე	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	საშ
მ/წმ	7.2	6.4	4.7	3.8	3.0	3.1	2.8	3.1	3.2	4.6	5.7	7.3	4.6

ცხრილი 5.20. ნიადაგის ზედაპირის საშუალო თვიური, მაქსიმალური და მინიმალური ტემპერატურა

t ^{0}C	I	II	II	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	საშ
საშ	5	6	9	14	19	24	26	25	21	16	11	7	15
საშ.მაქს.	12	13	18	26	33	39	40	39	34	28	19	14	26
აბს. მაქს.	28	34	40	54	55	61	64	60	54	46	34	30	64
საშ. მინ.	1	1	3	6	11	15	18	18	15	11	7	3	9
აბს.მინ.	-11	-10	-9	-5	-1	6	10	10	4	-1	-9	-11	-11

3.2 კლიმატის მიმდინარე ცვლილება

2021 წელს გამოვიდა საქართველოს მეოთხე ეროვნული შეტყობინება კლიმატის ცვლილების შესახებ გაეროს ჩარჩო კონვენციისადმი, რომელიც მომზადებულია გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის (GEF) ხელშეწყობით. ანგარიში მოიცავს ინფორმაციას როგორც იმ სათბურის აირების შესახებ, რომლებიც არ რეგულირდება ოზონდამშლელი ნივთიერებების შესახებ მონრეალის ოქმით, ასევე კონვენციის განხორციელებისათვის ქვეყნის მიერ გადადგმული ან დაგეგმილი ნაბიჯების ზოგად აღწერას. მეოთხე ეროვნული შეტყობინების დოკუმენტი შედგება შემდეგი ხუთი ნაწილისაგან: ეროვნული გარემოებები, სათბურის აირების ინვენტარიზაციის ანგარიში, შერბილების პოლიტიკა, მოწყვლადობა და ადაპტაცია და სხვა ინფორმაცია, რაც მოიცავს კლიმატის ცვლილების ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი მიმართულებების ინტეგრირებას, ორმხრივი შეთანხმებების, კლიმატის ცვლილებისათვის რელევანტური კვლევების, კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული პოლიტიკის დოკუმენტებისა და შემდგომი საჭიროებების ანალიზს.

მეოთხე ეროვნულ შეტყობინებაში, კლიმატის მიმდინარე ცვლილების შესაფასებლად საქართველოს მეტეოროლოგიური ქსელის 39 სადგურის 60-წლიანი პერიოდის (1956-2015

წლები) მონაცემებზე დაყრდნობით შესწავლილ იქნა მეტეოროლოგიური ელემენტების საშუალო და ექსტრემალური მნიშვნელობების ინტენსივობისა და განმეორებადობის ცვლილების ხასიათი. სადგურები შერჩეულ იქნა საქართველოს ტერიტორიის კლიმატური თავისებურებების ოპტიმალურად გათვალისწინების მიზნით, ასევე, ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის საფუძველზე.

შეფასებულ იქნა ტემპერატურის, ნალექების, და ჰაერის ფარდობითი ტენიანობისა და ქარის სიჩქარის წლიური, სეზონური და თვიური ცვლილების ტენდენციები ორ 30–წლიან პერიოდს (1956–1985 და 1986–2015 წლები) შორის. ვინაიდან საშუალო სიდიდეებით ხშირად შეუძლებელია კლიმატის ცვლილების სხვადასხვა სექტორებზე სოციალურ-ეკონომიკური ზეგავლენის შეფასება, კლიმატური პარამეტრების საშუალო მნიშვნელობებთან ერთად გამოთვლილ იქნა 35 კლიმატური ინდექსი.

საშუალო ტემპერატურა. ორ განხილულ 30-წლიან პერიოდს (1956-1985 და 1986-2015 წლები) შორის ქვეყნის ტერიტორიაზე მიწისპირა ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა მომატებულია თითქმის ყველგან, მხარეების მიხედვით 0.25–0.58^{0}C ფარგლებში, საშუალოდ ტერიტორიაზე ნაზრდი 0.47^{0}C შეადგენს. დათბობის პროცესი შედარებით ინტენსიურად მიმდინარეობს სამეგრელოში (ზუგდიდსა და ფოთში თანაბრად, 0.63^{0}C-ით). ტემპერატურის არასაკმარისად საიმედო ცვლილებები აღინიშნა აჭარა-გურიის მაღალმთიან მხარეში. ყველაზე ნიშვნადი დათბობა გამოვლინდა დედოფლისწყაროს რაიონში (ორ პერიოდს შორის წლიური ნაზრდია 0.73^{0}C).

საშუალო მაქსიმალური ტემპერატურა. საშუალო მაქსიმუმების წლიური მნიშვნელობა საგრძნობლად იზრდება თითქმის მთელ ტერიტორიაზე. გამონაკლისია, ძირითადად, მთიანი რაიონები აჭარა-გურიასა და რაჭა-ლეჩხუმში, ასევე, აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორია, სადაც ჩამოყალიბებულია მშრალი სუბტროპიკული (სტეპის) ჰავა.

საშუალო მაქსიმუმების ცვლილების უდიდესი სიჩქარეები გამოვლინდა **შავი ზღვის სანაპირო ზოლსა** და კოლხეთის დაბლობის მიმდებარე რაიონებში, ასევე, სამხრეთ საქართველოს მთიანეთში. დღის ტემპერატურების მიხედვით დათბობა შედარებით ინტენსიურად მიმდინარეობს აღმოსავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით, სამხრეთ საქართველოს მთიანეთში. საშუალო ტემპერატურის მსგავსად, საშუალო მაქსიმუმების ზრდაც ძირითადად გამოწვეულია ზაფხული-შემოდგომის მაქსიმუმების აწევით.

საშუალო მინიმალური ტემპერატურა. საშუალო მინიმუმების წლიური მნიშვნელობები გაზრდილია ქვეყნის უმეტეს ტერიტორიაზე, თუმცა, ამ პარამეტრის მიხედვით, დათბობის ტენდენცია ქვეყნის მხოლოდ ერთ ნაწილს შეეხო. ღამის ტემპერატურის ნაზრდი 1956-1985 წლების პერიოდთან მიმართებაში 1 ^{0}C–მდე ფარგლებშია. მაქსიმალური დათბობა გამოვლინდა კახეთში. **დასავლეთ საქართველოში აღმავალი ტრენდები აღინიშნა შავი ზღვის სანაპირო ზოლში**, კოლხეთის დაბლობზე და ლიხის ქედის მიმდებარე რაიონებში.

ჰაერის საშუალო ტემპერატურის ცვლილებების რუკები მოცემულია ქვემოთ.

რუკა 3.1. ჰაერის საშუალო ტემპერატურის ცვლილება (°C) იანვარში ორ ოცდაათწლიან პერიოდს შორის (1956–1985 და 1986–2015)



რუკა 3.2 ჰაერის საშუალო ტემპერატურის ცვლილება (°C) ივლისში ორ ოცდაათწლიან პერიოდს შორის (1956–1985 და 1986–2015)



რუკა 3.3 ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურის ცვლილება (°C) ორ ოცდაათწლიან პერიოდს შორის (1956–1985 და 1986–2015)



რუკა 3.4 ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა (°C) 1986–2015 წლებში



ნალექების რაოდენობა. დასავლეთ საქართველოში ნალექების წლიური რაოდენობა ძირითადად გაზრდილია, ხოლო აღმოსავლეთის რიგ რაიონებში - შემცირებული, თუმცა ნალექების წლიური ჯამების ცვლილების ხასიათი უმეტესად არასაიმედოა და გამოკვეთილ ტენდენციებს ადგილი არ აქვს. დასავლეთში ნალექების საშუალო წლიური რაოდენობის ცვლილების ტენდენციები თითქმის ყველგან დადებითია, ორ პერიოდს შორის უდიდესი გადახრა (15%-მდე) და შესაბამისად, ყველაზე მდგრადი ზრდის ტენდენცია, ფოთსა და ხულოში გამოვლინდა (60-75 მმ/10 წელიწადში). გამონაკლისია მხოლოდ გურიის მხარესა და აჭარის მაღალ მთაში (გოდერძის უღელტეხილი) გამოვლენილი ნალექების კლების ნიშვნადი ტენდენციები. აღმოსავლეთში წლიური

ნაზრდი მაქსიმალურია და შესაბამისი ტენდენციები ნიშვნადია ლაგოდეხში (17%, 75 მმ/10 წელიწადში), ნალექების შემცირება კი ყველაზე ინტენსიურია თიანეთში (-18%, 39 მმ/10 წელიწადში).

ნალექების დღეღამური მაქსიმუმები. რაც შეეხება ერთ და ხუთ დღე-ღამეში მოსული ნალექების მაქსიმალურ რაოდენობას, საქართველოს ტერიტორიაზე უმეტესად აღინიშნება ამ პარამეტრების ზრდა. შემცირების ტენდენციები კი გამოვლინდა ქვეყნის ცენტრალურ რაიონებში (იმერეთი, სამცხე-ჯავახეთი, შიდა ქართლი), თუმცა ცვლილების ტენდენციები, ძირითადად, არამდგრადია და მხოლოდ რამდენიმე მდგრადი ტრენდი გამოვლინდა. ორ 30-წლიან პერიოდს შორის 1-დღიური მაქსიმუმების გადაჭარბების შემთხვევები უმეტეს ტერიტორიაზე დაფიქსირდა იანვარსა და მაისში, 5-დღიურების - ასევე, ნოემბერშიც. წლიური მაქსიმუმების გადაჭარბების სიდიდეები 70-80 მმ-ს აღწევს (ქობულეთი, ლაგოდეხი), ხოლო 5-დღიური მაქსიმუმებისა - 150-160 მმ-მდე ფიქსირდება (ამბროლაური).

ატმოსფერული ნალექების რაოდენობის ცვლილებასთან დაკავშირებული რუკები მოცემულია ქვემოთ.

რუკა 3.5 ატმოსფერული ნალექების საშუალო რაოდენობის ცვლილება (%) იანვარში ორ ოცდაათწლიან პერიოდს შორის (1956–1985 და 1986–2015)



რუკა 3.6 ატმოსფერული ნალექების საშუალო რაოდენობის ცვლილება (%) ივლისში ორ ოცდაათწლიან პერიოდს შორის (1956–1985 და 1986–2015)



რუკა 3.7 წლიური ატმოსფერული ნალექების საშუალო რაოდენობის ცვლილება (%) ორ ოცდაათწლიან პერიოდს შორის (1956–1985 და 1986–2015)



რუკა 3.8 ატმოსფერული ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა (მმ) 1986–2015 წლებში



ჰაერის საშუალო ფარდობითი სინოტივე. დაკვირვების მონაცემებით, საშუალო წლიური ფარდობითი სინოტივის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი 1986–2015 წლებში დაიკვირვებოდა ქვემო ქართლში (საშუალოდ 69%) და საგარეჯოში (66%). სინოტივის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი (89%) მთა-საბუეთში იყო დაფიქსირებული. 1956–1985 წლების მიმართ ფარდობითი სინოტივის დაკვირვებული ცვლილება უმნიშვნელოა, მაქსიმალური მატებაა (7%) თელავში, მაქსიმალური კლება (4%) - საგარეჯოში.

ფარდობითი სინოტივის ექსტრემალური მნიშვნელობები (ნოტიო და მშრალი დღეები). ნოტიო დღეების (შუადღის ფარდობითი სინოტივე მეტია 80%) რაოდენობა გაზრდილია საქართველოს უმეტეს ტერიტორიაზე. წლიურ ციკლში მნიშვნელოვანი ცვლილებები არ დაიკვირვება. როგორც პირველ, ისე მეორე 30-წლიან პერიოდში, წლის განმავლობაში ნოტიო დღეების მაქსიმალური რაოდენობა ზამთრის დასაწყისში (დეკემბერში) და, ნაწილობრივ, იანვარში დაიკვირვება.

რაც შეეხება, ექსტრემალურად მშრალ დღეებს (დღეღამის მინიმალური ფარდობითი სინოტივე ნაკლებია 30%), თითქმის მთელს ტერიტორიაზე აღინიშნება ასეთი დღეების შემცირება, რაც წლის განმავლობაში განპირობებულია აპრილ-მაისში მშრალი დღეების ნიშვნადი კლებით. ორ პერიოდს შორის შემცირების წლიური სიდიდე საშუალოდ ტერიტორიაზე 6-8 დღეს შეადგენს. ყველაზე გამოკვეთილად იკლებს იმერეთში (საშუალოდ, 11 დღემდე), ქუთაისში კი შემცირებულია 27 დღით. რიგ რაიონებში, ძირითადად, გაზაფხულზე კახეთში და შემოდგომის დასაწყისში მთელს აღმოსავლეთ საქართველოში, ასეთი დღეების გახშირება გამოვლინდა. ტენდენციები ნიშვნადია კახეთში, სადაც წლიური ნაზრდი 6-9 დღეს, გაზაფხულზე კი 4-5 დღეს შეადგენს.

სინოტივის ექსტრემუმების ანალიზი ადასტურებს და ხსნის საშუალო ფარდობითი სინოტივის ცვლილების გამოვლენილ კანონზომიერებებს. კერძოდ, სინოტივის მატება გაზაფხულის სეზონზე განპირობებული უნდა იყოს უფრო მშრალი დღეების განმეორებადობის შემცირებით, განსაკუთრებით, აღმოსავლეთ საქართველოში, ხოლო

დეკემბერ-იანვარში ტენიანობის მატება დაკავშირებული უნდა იყოს ამ თვეებში ნოტიო დღეების გახშირებასთან, რაც უფრო მეტად დასავლეთ საქართველოში შეინიშნება.

ქარის საშუალო სიჩქარის ცვლილებას თითქმის ყველა განხილული სადგურისათვის შემცირების ტენდენცია აქვს. ორ პერიოდს შორის ქარის საშუალო სიჩქარე საშუალოდ 1-2 მ/წმ-ით არის შემცირებული.

ქარის ექსტრემალური მნიშვნელობები (ძლიერქარიანი დღეები). ძლიერქარიან დღეთა (≥ 15 მ/წმ) რაოდენობის შემცირების ტენდენციები უფრო ძლიერია დასავლეთში, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში, ძირითადად დაიკვირვება მათი გახშირება. აღსანიშნავია ასეთი დღეების რიცხვის შემცირება ქუთაისში და განსაკუთრებით, ლიხის ქედის დასავლეთ კალთებზე (მთა-საბუეთი), სადაც ტრენდები გამოვლინდა ზაფხული-შემოდგომის სეზონებზე, ხოლო აღმოსავლეთში, მტკვრის ხეობაში, ასეთი დღეების ნიშვნადი ზრდა დაიკვირვება. გორში ძლიერქარიანი დღეების გახშირება ყველა სეზონზე დაიკვირვება. მსგავსი კანონზომიერებით იცვლება ექსტრემალურად ძლიერქარიან დღეთა (≥ 25 მ/წმ) განმეორებადობაც. კერძოდ, ასეთი დღეების ნიშვნადი კლება გამოვლინდა ქუთაისსა და მთა-საბუეთში, ხოლო მდგრადი ზრდა დაიკვირვება გორში, ასევე ფოთში.

<u>კლიმატის ცვლილების სცენარი</u>

მეოთხე ეროვნულ შეტყობინებაში, კლიმატის მოსალოდნელი ცვლილების პროგნოზირებისთვის გამოყენებულია RCP4.5 სცენარი, რომელიც გულისხმობს რადიაციული ბიუჯეტის სტაბილიზაციას 4.5 W/m² დონეზე. მესამე ეროვნულ შეტყობინებაში გამოყენებულ A1B სცენართან შედარებით, RCP4.5 სცენარი ნაკლებ მკაცრია.

გლობალური პროგნოზის მასშტაბის გასაუმჯობესებლად გამოყენებულ იქნა RegCM რეგიონული კლიმატური მოდელის 4.6.0 ვერსია. აღნიშნულ ვერსიაში რიგი ფიზიკური და ქიმიური პროცესების აღწერისა და პარამეტრიზაციის მექანიზმებია დახვეწილი. ამ მოდელში გათვალისწინებული იქნა მტვრისა და აეროზოლების ზემოქმედება, რასაც წინ უსწრებდა კვლევა: მტვრის ნაწილაკების ეფექტის გათვალისწინება სამხრეთი კავკასიის კლიმატის სიმულაციისას. გარდა ამისა, RegCM 4.6.0 ვერსია ჰორიზონტალური მასშტაბის გაუმჯობესების საშუალებას იძლევა ჩადგმული არის მეთოდით (one way nesting). რეგიონული მოდელით ყველა სიმულაცია ჩატარდა ჯერ უფრო უხეში მასშტაბის (30 კმ) და შედარებით დიდი ფართობის არეზე, ხოლო შემდეგ გადათვლილ იქნა 10 კილომეტრიან ბადეზე.

აღნიშნულ სიმულაციაზე დაყრდნობით, ორი 30-წლიანი (2041-2070 და 2071-2100 წლები) საპროგნოზო პერიოდის შედარებით 1971–2000 წლების 30 წლიან საბაზისო პერიოდთან, შეფასდა კლიმატის ცვლილების სამომავლო ტენდენციები საქართველოს მეტეოროლოგიური ქსელის 39 სადგურისთვის. სცენარები შემუშავდა ძირითადი კლიმატური პარამეტრებისთვის, როგორიცაა ჰაერის ტემპერატურის, ნალექების ჯამის, ფარდობითი სინოტივისა და ქარის საშუალო თვიური და წლიური მნიშვნელობები. დამატებით გაანგარიშებულ იქნა სპეციალიზებული კლიმატური პარამეტრები – ინდექსები, რომელთა საშუალებით შესაძლებელია ცალკეულ სექტორებზე კლიმატის ცვლილების გავლენის შეფასება.

საშუალო წლიური ტემპერატურა 2041-2070 წლების პერიოდში 1971–2000 წლებთან შედარებით მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე 1.6^{0}C-დან 3.0^{0}C-მდე ფარგლებში გაიზრდება. აღმოსავლეთ საქართველოში დათბობა 1.8^{0}C–3.0^{0}C ფარგლებშია, დასავლეთ საქართველოში ოდნავ ნაკლებია, 1.6^{0}C–2.9^{0}C ფარგლებში.

2071-2100 წლების პერიოდში საშუალო წლიური ტემპერატურა ზრდას განაგრძობს და ის კიდევ 0.4^{0}C-1.7^{0}C-ის ფარგლებში მოიმატებს. შედეგად, ამ პერიოდისთვის ტემპერატურის ნაზრდი 1971-2000 წლების პერიოდის საშუალოსთან შედარებით 2.1^{0}C-3.7^{0}C ფარგლებშია. ყველაზე ნაკლებად ეს სიდიდე ლენტეხში იმატებს, ხოლო ყველაზე მეტად - საგარეჯოში. აღმოსავლეთ საქართველოში მატება უმნიშვნელოდ აღემატება დასავლეთ საქართველოში მატებას.

საშუალო მაქსიმალური ტემპერატურების წლიური მატება 2041-2070 წლების პერიოდისთვის 1.9^{0}C-3.0^{0}C ფარგლებშია, საშუალო მინიმალური ტემპერატურებისა კი 1.1^{0}C-2.3^{0}C ფარგლებში. მინიმალური ტემპერატურების საშუალო ნაკლებად იმატებს, ვიდრე მაქსიმალური ტემპერატურებისა. 2071-2100 წლების პერიოდისთვის ეს კანონზომიერება ნარჩუნდება, მაქსიმუმები თბება 2.6-4.3^{0}C-ით, ხოლო მინიმუმები - 1.7-3.7^{0}C-ით.

2041-2070 წლებისთვის იმ დღეთა რიცხვი, როდესაც დღის მაქსიმალური ტემპერატურა აღემატება 25^{0}C, 30^{0}C და 35^{0}C–ს, წლის განმავლობაში ყველა სადგურზე გაზრდილია, ისევე როგორც იმ ღამეების რაოდენობა, როდესაც მინიმალური ტემპერატურა 2^{0}C-ზე ქვემოთ არ ჩამოდის. ამავე დროს, მნიშვნელოვნად შემცირდება ყინვიანი დღეებისა და ღამეების რაოდენობა. აღნიშნული პერიოდისთვის, მაღალ მთაში ყინვიანი დღეების რიცხვი უფრო მკვეთრად იკლებს, ვიდრე ყინვიანი ღამეებისა, ხოლო დაბლობ ადგილებში ორივე სიდიდე თითქმის ერთნაირად მცირდება. საუკუნის ბოლოსათვის ყინვიანი დღეები საერთოდ აღარ არის მოსალოდნელი.

დაკვირვების მონაცემებით ნალექების წლიური ჯამის განაწილება საქართველოს ტერიტორიაზე შემდეგი კანონზომიერებით ხასიათდება: ყველაზე ნალექიანი **აჭარის სანაპირო ზოლია** (2,300 მმ–ზე მეტი). სანაპიროდან აღმოსავლეთით და ზღვის დონიდან სიმაღლის ზრდის მიხედვით ნალექის წლიური რაოდენობა თანდათან იკლებს. ორივე საპროგნოზო პერიოდში ნალექების რაოდენობა სხვადასხვაგვარი პროცენტული თანაფარდობით მცირდება, მაგრამ განაწილების კანონზომიერება უცვლელი რჩება.

2041-2070 წლების პერიოდში ნალექების წლიური ჯამი აღმოსავლეთ საქართველოში საშუალოდ 9%-ით მცირდება. ყველაზე მეტად (12.3%) ფასანაურში, ყველაზე ნაკლებად კი საგარეჯოში (5.3%). ნალექის წლიური რაოდენობა ყველაზე მეტად იმერეთში იკლებს, მაქსიმალური კლებაა საჩხერეში (17.9%–ით). დასავლეთ საქართველოს სხვა რეგიონებში კლება 3.6–15.3%-ის ფარგლებშია. გამონაკლისს წარმოადგენს ზუგდიდი და ფოთი, სადაც ნალექი 8-10%-ით იზრდება.

2071-2100 წლების პერიოდში, 2041-2070 წლების პერიოდთან შედარებით, ნალექების ჯამი უმნიშვნელოდ იცვლება, იზრდება ან მცირდება 1-6% პროცენტის ფარგლებში.

ქარის საშუალო წლიური სიჩქარის მნიშვნელობა 1971-2000 პერიოდში აღმოსავლეთ საქართველოში 0.4მ/წმ (ლაგოდეხი) - 4მ/წმ-ის (ფარავანი) ფარგლებში მერყეობდა, დასავლეთ საქართველოში კი 0.2 (ლენტეხი) - 5.5მ/წმ (ქუთაისი) ფარგლებში.

მომავალში ამ პარამეტრის უდიდესი მნიშვნელობები კვლავ ქუთაისშია მოსალოდნელი. საქართველოს თითქმის მთელ ტერიტორიაზე ქარის საშუალო სიჩქარე წლიურად და სეზონების მიხედვითაც მცირე ცვლილებას განიცდის ±0.5 მ/წმ დიაპაზონში. საშუალოდ მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე ქარის საშუალო წლიური სიჩქარე პირველ პერიოდში 0.4 მ/წმ, ხოლო მეორეში კი 0.3 მ/წმ-ით იზრდება. ორივე პერიოდში ქარის სიჩქარის რაიმე გამოკვეთილი კანონზომიერება არ ვლინდება არც გეოგრაფიული მდებარეობის და არც სეზონური ცვალებადობის თვალსაზრისით.

კლიმატის ცვლილების ფონზე შეინიშნება სტიქიური ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენების (წყალდიდობა-წყალმოვარდნა, თოვლის ზვავი, ძლიერი ქარი, გვალვა და სხვ.) სიხშირისა და ინტენსივობის ზრდის ტენდენცია. ქვეყნის ტერიტორიაზე მნიშვნელოვნად გაიზარდა მეწყრულ-გრავიტაციული და ღვარცოფული პროცესების რაოდენობა და სიმძაფრე. ინტენსიურად დნება საქართველოს მყინვარები.

საქართველოში კლიმატის ცვლილების უარყოფითი შედეგების ფართო სპექტრი გამოვლინდა და მომავალში ნეგატიური ეფექტი კიდევ უფრო გაძლიერდება. ქვეყნის მთავარი მიზანია, კლიმატისადმი მედეგი პრაქტიკის განვითარებით, ქვეყნის მზადყოფნის და ადაპტაციის უნარის გაუმჯობესება, რაც შეამცირებს კლიმატის ცვლილების მიმართ ყველაზე მგრძნობიარე თემების მოწყვლადობას.

რეკომენდებულია განაშენიანების დეტალური გეგმის განხორციელების პროცესში (მაგალითად ტერიტორიის გამწვანებაში გამოსაყენებელი ხე-მცენარეების სახეობების შერჩევისას) გათვალისწინებული იყოს კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ასპექტები, აჭარის კლიმატის ცვლილების სტრატეგიასა და მეოთხე ეროვნულ შეტყობინებაში წარმოდგენილი არსებული და სამომავლო კლიმატის სცენარების მიხედვით.

3.3 საინჟინრო გეოლოგიური პირობები

შპს ,,ოლდბათუმი“-ს დაკვეთით 2023 წლის მარტში შ.პ.ს. ,,TUSKI GEOLOGY“ -ის მიერ ჩატარდა, ქ. ბათუმში, გიორგი ბრწყინვალეს ქ. ##62-64-66 -ში საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილი ტერიტორიის საინჟინრო გეოლოგიური კვლევა.

კვლევის მიზანს შეადგენდა სამშენებლოდ გამოყოფილი უბნის საინჟინრო გეოლოგიური აგებულების შესწავლა და საპროექტო შენობის დაფუძნების პირობების დადგენა.

თანახმად დამკვეთის მიერ გადმოცემული ტექნიკური დავალებისა და მოქმედი ნორმატიული დოკუმენტის (სნ და წ 1.02.07-87) მოთხოვნის საფუძველზე, ჩატარდა საინჟინრო გეოლოგიური კვლევა კონკრეტული უბნისათვის - მუშა პროექტის (სამუშაო დოკუმენტაცია) სტადიისათვის, შემდეგი მოცულობით:

- მშენებლობისათვის გამოყოფილ უბანზე, მისი კონტურის ფარგლებში, გაიბურღა 3 ჭაბურღილი სიღრმით: 20მ თითოეული, სულ შესრულებული ბურღვითი სამუშაოების მთლიანი მოცულობა შეადგენს 60 გრძივ მეტრს.
- ბურღვა მიმდინარეობდა თვითმავალი საბურღი დაზგით URB 2a2 მექანიკური სვეტური ბურღვის მეთოდით, მოკლე რეისებით, მშრალად, კერნის უწყვეტი ამოღებით, დიამეტრით 114 მმ-მდე.

- ბურღვის პროცესში, ლაბორატორიული კვლევისათვის ჭაბურღილების კერნიდან აღებული იქნა სამშენებლო უბანზე გავრცელებული გრუნტების დაურღვეველი სტრუქტურის 4 ნიმუში.
- გრუნტის ლაბორატორიული კვლევები ჩატარდა ქალაქ თბილისში შ.პ.ს "გეოინჟკომპლექსის" ლაბორატორიაში.
- გრუნტის გამოცდების შედეგები წარმოდგენილია თანდართულ საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის ანგარიშში;
- საგამოკვლევო ჭაბურღილები გეოლოგის მიერ დატანილი იქნა დამკვეთის მიერ გადმოცემულ ტოპო გეგმაზე.
- ანგარიშში მოცემულ დასკვნას საფუძვლად უდევს მიმდაბარე ტირიტორიაზე ადრე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოები და ფონდური მასალები.

ჩატარებული საველე სამუშაოების მონაცემების მიხედვით შედგენილია ჭაბურღილების გეოლოგიურ-ლითოლოგიური სვეტები და საკვლევი ტერიტორიის გეოლოგიური ჭრილები. სამშენებლო უბნის გეოლოგიურ აგებულებაში მონაწილეობენ ზღვიური გენეზისის ქვიშები და ჭაობის გენეზისის თიხები.

ფენა 2-ის გრუნტები ლითოლოგიურად წარმოდგენილია რბილპლასტიკური კონსისტენციის მუშაო-ფერის, გალებებული თიხებით, ტორფის შუა შრეებით (5-10სმ), გავრცელებულია მთელ სამშენებლო ტერიტორიაზე.

ფენა 3-ის თიხოვანი გრუნტები ლითოლოგიურად წარმოდგენილია ძირითადად რბილპლასტიკური თიხებით.

ფენა 4-ის ქვიშა მტვეროვანი, მოლურჯო-ნაცრისფერი ფერის, ბრილპლასტიკური კონსისტენციის თიხის შუა შრეებით (1-2სმ)

ყველა ეს გრუნტი ზემოდან გადაფარულია 0,3-0.5 მ-ის სიმძლავრის ტექნოგენური (ნაყარი) გრუნტით. – ფენა 1.

საკვლევი უბნის ჰიდროგეოლოგიური პირობების შესახებ შეიძლება ითქვას შემდეგი: რადგანაც ჭაბურღილებში ჭრილის ზედა ნაწილში გრუნტი ძლიერ გაწყლიანებულია გრუნტის წყლების შემოდენის მკვეთრი საზღვარი არ ფიქსირდება, თუმცა გრუნტის წყლების დონე საკმაოდ მაღალია. ბურღვის პროცესში მისი დონე დამყარდა მიწის ზედაპირიდან 1,0-1,5 მ სიღრმეზე.

ყოველივე ზემოთაღნიშნულის თანახმად, შეიძლება დავასკვნათ:

1. საინჟინრო-გეოლოგიური თვალსაზრისით, მშენებლობისათვის გამოყოფილი უბანი იმყოფება დამაკმაყოფილებელ პირობებში. უბანზე და მის მიმდებარედ არ აღინიშნება ნეგატიური გეოლოგიური მოვლენები. თუმცა გეოლოგიური ჭრილის ზედა ნაწილში ჭაობის გენეზისის ძლიერ კუმშვადი, სუსტი გრუნტების არსებობა და გრუნტის წყლების მაღალი დონეები გარკვეულ სირთულეს ქმნის დასაპროექტებელი საცხოვრებელი სახლის დაფუძნების თვალსაზრისით. აუცილებელ პირობად მიგვაჩნია მშენებლობის პროცესში მოხდეს სამშენებლო მოედნის შპუნტირება, რათა არ მოხდეს გვერდით მდებარე შენობა ნაგებობების ფუნდამენტების გამორეცხვა, და არ გამოიწვიოს მათა დაზიანება.

საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით, სამშენებლო მოედანი სნ და წ 1.02.07-87-ის მე-10 (სავალდებულო) დანართის თანახმად მიეკუთვნება III კატეგორიას (რთული).

2. უბნის ამგებ გრუნტებში გამოიყოფა 2 საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტი (სგე):

- I სგე _ დენადი თიხა (ფენა 2-3);
- IV სგე _ ქვიშა (ფენა 4)

3. ქვემოთ მოყვანილ ცხრილში მოცემულია თიხოვან გრუნტებში გამოყოფილი საინჟინრო გეოლოგიური ელემენტების (სგე) საანგარიშო ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლები, მოცემული ლაბორატორიული კვლევების საფუძველზე, აგრეთვე ნორმატიული დოკუმენტის სნ და წ 2.02.01-83 დანართი 2; ცხრილი 1 და 3; დანართი 3 და საცნობარო ლიტერატურის (,,დამპროექტემბლის საანგარიშო თეორიული ცნობარი") და ფონდური მასალების გამოყენებით:

N	გრუნტის მახასიათებლები		I სგე ფენა 2-3	II სგე ფენა 4
1	ხვედრითი შეჭიდეულობა	ნორმატიული მნიშვნელობა $C^{ნ}$	8	11
		II ზღვრული მნიშვნელობა C^{II}	8	11
		I ზღვრული მნიშვნელობა C^{I}	6	7
2	შიგა ხახუნის კუთხე	ნორმატიული მნიშვნელობა $\varphi^{ნ}$	7	32
		II ზღვრული მნიშვნელობა φ^{II}	7	32
		I ზღვრული მნიშვნელობა φ^{I}	6	29
3	სიმკვრივე $\rho^{ნ}$ გ/სმ^3		1.73	2.05
4	დეფორმაციის მოდული, E მპა		6.9	23
5	საანგარიშო წინაღობა R_0		80	200
6	დენადობის მაჩვენებელიI_I		0.70	0.93
7	საგების კოეფიციენტი K კგძ/სმ^3		0.8	2.0

შენიშვნა: სიმტკიცის მახასიათებლების საანგარიშო მნიშვნელობები მოცემულია სნ და წ 2.02.01 -83 §2.16 შენიშვნების მოთხოვნების გათვალისწინებით.

4. საქართველოს ტერიტორიის სეისმური დარაიონების სქემის მიხედვით საკვლევი ტერიტორია მიეკუთვნება 7 ბალიანი სეისმურობის ზონას (სნ და წ „სეისმომედეგი მშენებლობა" (პნ 01.01.09).

თავისი სეისმური თვისებების მიხედვით უბანზე გავრცელებული გრუნტები დან I სგე-ს გრუნტები მიეკუთვნებიან III კატეგორიას, II სგე-ს გრუნტები II - კატეგორიას, რადგანაც დაგეგმარების ნიშნულიდან არახელსაყრელი შრე ხასიათდება 5 მ-ზე მეტი სისქით, ამიტომ უბნის სეისმურობა შეიცვლება და განისაზღვრება 8 ბალით.

5. იმის გამო, რომ ბურღვითი სამუშაოები დაემთხვა წვიმიანი პერიოდს და სინა პერიოდშიც გამოირჩეოდა უხვი ატმოსფერული ნალექებით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ

მიმდინარე კვლევისას დაფიქსირებული გრუნტის წყლების დონე მაქსიმალურია 1 -1.5 მ. იმ შემთხვევაში თუ საჭირო გახდება ქვაბულიდან წყალქცევითი სამუშაოების ჩატარება, წყლის საორიენტაციო შემოდინება ქვაბულის ყოველ კვადრატულ მეტრზე მიღებული იქნას 0.02 ლ/წმ, რაც დაზუსტდება ამოტუმბვის პროცესში.

6. დამუშავების სიძნელის მიხედვით უბანზე გავრცელებული გრუნტები -სამშენებლო ნორმები და წესები IV-2-82-ის ცხრილი 1თანახმად მიეკუთვნებიან:

- ტექნოგენური გრუნტი (ფენა 1) - ყველა სახის დამუშავებისთვის -III ჯგუფს, საშუალო სიმკვრივით 1950 კგ/მ3 (ვუთანაბრებთ რიგით №6 „ბ“)
- თიხოვანი გრუნტი (ფენა 2) - ყველა სახის დამუშავებისთვის - I ჯგუფს, საშუალო სიმკვრივით 1700 კგ/მ3 (ვუთანაბრებთ რიგით №33 „ბ“)

3.4 ბიომრავალფეროვნება

ქ. ბათუმის მწვანე სივრცეები გამოირჩევა მრავალფეროვნებით, რაც პირველ რიგში განპირობებულია სუბტროპიკული კლიმატით.

ქ. ბათუმსა და მის მიდამოებში გავრცელებულია მრავალნაირი სუბტროპიკული მცენარე. ჭარბობს ხელოვნურად გაშენებული პარკები და ციტრუსოვანთა ნარგავები. გორაკ-ბორცვებზე აქა-იქ შემორჩენილია კოლხური ბუნებრივი ტყე და ბუჩქნარი.

უშუალოდ საპროექტო ტერიტორიაზე წარმოდგენილია კულტურული და დეკორატიული ხე-მცენარეულობა, რომლთა უმეტესი ნაწილი პროექტის განხორციელებისას მოჭრას ექვემდებარება, რაც მცენარეულ საფარზე პირდაპირ უარყოფით ზემოქმედებას გულისხმობს. მოსაჭრელი ინდივიდების სანაცვლოდ განხორციელდება საკომპენსაციო ღონისძიებები, ასევე გდგ-ს კონცეფცია ითვალისწინებს ტერიტორიის გამწვანებას კანონმდებლობით დადგენილი კოეფიციენტის და ნორმების მიხედვით.

ქ. ბათუმის ადმინისტრაციულ საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიებზე წარმოდგენილი ფაუნიდან აღსანიშნავია ორნითოფაუნის მრავალფეროვნება, ვინაიდან ბათუმზე გადამფრენ ფრინველთა ევრაზია-აფრიკის სამიგრაციო მარშრუტი გადის. ბათუმის ადმინისტრაციულ საზღვრებში ასევე მოქცეულია ფრინველთათვის მნიშვნელოვანი ადგილი და ფრინველთა სპეციალური დაცული ტერიტორია. მდინარე ჭოროხის დელტა წარმოადგენს ზურმუხტის ქსელის დამტკიცებულ საიტს, რომელიც ორნითოფაუნის მრავალფეროვნებით გამოირჩევა.

შავი ზღვის სანაპირო, კერძოდ ბათუმის შემოგარენი და ქობულეთის მუნიციპალიტეტის ნაწილი, მტაცებელი ფრინველების მიგრაციის ერთ-ერთი ყველაზე ვიწრო და მრავალრიცხოვანი დერეფანია, სადაც ყოველწლიურად 800,000-ზე მეტი გადამფრენი მტაცებელი ფრინველი აღირიცხება. საყოველთაოდ ცნობილი „ბათუმის სამიგრაციო ძაბრი“ გიბრალტართან, მესინა-სიცილიასთან და ბოსფორთან ერთად ევროპის ოთხ ყველაზე მნიშვნელოვან ადგილად მოიხსენიება. ასეთ ადგილებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო ტურიზმის მარკეტინგის, ბუნების დაცვითი სამუშაოებისა და სამეცნიერო კვლევების თვალსაზრისით.

ბათუმის "ძაბრი” საშემოდგომო გადაფრენისას შემდეგნაირად იქმნება: მას შემდეგ, რაც მტაცებლები გადმოლახავენ დიდი კავკასიონის ცენტრალურ და დასავლეთ ნაწილებს (ამ დროს მათი სამიგრაციო გზები ძირითადად დაბალ უღელტეხილებზე გადის), ეშვებიან

კოლხეთის დაბლობზე, ენერგიის დაზოგვის მიზნით ერიდებიან შავი ზღვის ზედაპირს, ლიხის (სურამის) და მესხეთის (აჭარა-იმერეთის) ქედებს, ამის შედეგად ძალაუნებურად მათი უმეტესი ნაწილი თავს იყრის ბათუმის მიდამოებში, შემდეგ გადაკვეთენ საქართველო-თურქეთის საზღვარს და თანდათან ისევ დაცილდებიან ერთმანეთს. მიუხედავად იმისა, რომ მტაცებლების დიდი რაოდენობა დიდი კავკასიონის აღმოსავლეთ ნაწილსაც გადმოლახავს, აღმოსავლეთ საქართველოში წყლის ფართო ზედაპირის არარსებობისა და უფრო მოზაიკური მთა-გორიანი ლანდშაფტის გამო გადაფრენა რამდენიმე გზით მიმდინარეობს და ამიტომ ამ ადგილებში ისეთი დიდი მასშტაბის "მაბრი" არ იქმნება, როგორიც ბათუმთან.

ილუსტრაცია 3.1. საქართველოში არსებული ფრინველთა მიგრაციის მთავარი მარშრუტები



წყარო: https://nationalgeographic.ge/story/migracia-javakhetshi/

3.5 დაცული ტერიტორიები

საპროექტო ტერიტორიიდან აღმოსავლეთით, დაახლოებით 8.7 კმ-ში (პირდაპირი მანძილი) მტირალას ეროვნული პარკი მდებარეობს.

ბათუმის ადმინისტრაციულ საზღვრებში ასევე ვხვდებით საერთაშორისო მნიშვნელობის ზურმუხტის ქსელის დამტკიცებულ უბანს - ჭოროხის დელტას GE0000054[1] (4.7 კმ-ში საპროექტო ტერიტორიიდან).

[1] ზურმუხტის ქსელის მიღებული საიტი „ჭოროხის დელტა“-ს მახასიათებლები სტანდარტული ფორმის მიხედვით შემდეგია:სარეგისტრაციო კოდი - GE0000054; ფართობი - 2,232.34 ჰა; გრძედი - 41.566000; განედი - 41.600000; ბიოგეოგრაფიული რეგიონი - შავი ზღვის (100.0%).

ბათუმის ტერიტორიაზე ასევე წარმოდგენილია ფრინველთათვის მნიშვნელოვანი ტერიტორია დასახელებით „ბათუმი GE014“. ფრინველთათვის მნიშვნელოვანი ადგილები არის საერთაშორისო კონსერვაციული მნიშვნელობისა და სტატუსის მქონე ტერიტორიები, როგორც გლობალურ, ასევე რეგიონალურ და ეროვნულ დონეებზე. გეგმარებითი ერთეული მოქცეულია აღნიშნული ტერიტორიის ფარგლებში. გეგმარებითი ერთეულის სამხრეთ-აღმოსავლეთით 1.67 კმ. მანძილში წარმოდგენილია ფრინველთა სპეციალური დაცული ტერიტორია ბათუმი (SPA 16 Batumi), ხოლო დასავლეთით 4.3 კმ. მანძილში - ჭოროხის დელტა (SPA 15 Chorokhi Delta)

ილუსტრაცია 3.2. საპროექტო ტერიტორიის მდებარეობა საქართველოს დაცული ტერიტორიების მიმართ



ილუსტრაცია 3.3. საპროექტო ტერიტორიის მდებარეობა ზურმუხტის ქსელის საიტის მიმართ



ილუსტრაცია 3.4. საპროექტო ტერიტორიის მდებარეობა ფრინველთა მნიშვნელოვანი ტერიტორიისა და ფრინველთა სპეციალური დაცული ტერიტორიის მიმართ



3.6 კულტურული მემკვიდრეობის ობიექტები

გეგმარებითი ერთეული არ მდებარეობს კულტურული მემკვიდრეობის და არქეოლოგიური ძეგლების დაცვის ზონებში. აღნიშნულ ტეროტორიაზე არ გამოვლენილა ღირებული მატერიალური და არამატერიალური ობიექტები. გეგმარებითი ერთეულიდან უახლოეს მანძილში მდებარე კულტურული მემკვიდრეობის ობიექტი არქეოლოგიური მუზეუმია (ს/ნ: 7611), რომელიც გეგმარებითი ერთეულიდან 257 მ. მანძილში მდებარეობს.

ილუსტრაცია 3.5. საპროექტო ტერიტორიის დაშორება უახლოეს კულტურული მემკვიდრეობის ობიექტამდე



შენობა წარმოადგენს საბჭოური პერიოდის არქიტექტურის სახასიათო ნიმუშს. შენობა ქვითაა ნაგები და შელესილია. გაფორმებულია კლასიცისტურ სტილში. ცოკოლის სართული და ფასადი რუსტირებულია. ფასადი მაღალი თაღებითაა გახსნილი, რომლებიც ემყარება მძლავრ სვეტებს. თაღები შემკობილია ნალესობითა და დეკორით. მცენარეული ხასიათის დეკორატიული ორნამენტებით არის შემკული ფასადზე გამეორებული თაღოვანი ფორმები. შენობაზე ფართო ღიობებია გაჭრილი, ხოლო კარნიზის ქვემოთ ორნამენტულ ჩარჩოში, წყვილი მრგვალი სარკმლებია განთავსებული. შენობას ორნამენტული ფრიზი მიუყვება. ნაგებობას ასრულებს პროფილირებული კარნიზი, რომელიც დეკორაციულ კრონშტეინებს ეყრდნობა. შენობის გვერდები წინა ფასადის მსგავსად, გაფორმებულია თაღოვანი ფორმებით, რომლებშიც სარკმლები და მცირე ზომის აჟურულმოჯირიანი აივნებია განთავსებული. უკანა ფასადი არ ხასიათდება მხატვრული დეტალებით. ამდენად, აღნიშნული შენობა წარმოადგენს საბჭოური არქიტექტურის ერთ-ერთ სახასიათო ნიმუშს. ნაგებობა აღსანიშნავია თავისი მონუმენტურობით, პროპორციულობით, ფასადების გაფორმებითა და კარგი სამშენებლო ოსტატობით.

ილუსტრაცია 3.6. არქეოლოგიური მუზეუმი



წყარო: memkvidreoba.gov.ge

3.7 ატმოსფერული ჰაერის ხარისხი

ბათუმში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან მნიშვნელოვანია სხვადასხვა პროფილის წარმოებები, ასეთი შესაძლოა იყოს: მეტალურგიული წარმოება და ლითონის დამუშავება, ქიმიური მრეწველობა, საწვავის შენახვა/რეალიზაცია და სხვა. მობილური წყაროებიდან ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ავტოტრანსპორტის გამონაბოლქვი. საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეს ატმოსფერული ჰაერის მთავარი დამბინძურებელი ავტოტრანსპორტია.

ბათუმის ტერიტორიაზე არსებული სტაციონალური წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული ძირითადი დამბინძურებელი ნივთიერებებია: მტვერი (შეწონილი ნაწილაკები), ჭვარტლი, მანგანუმის ორჟანგი, ბენზ(ა)პირენი, სუსტად ხსნადი ფტორიდები, აბრაზიული მტვერი, რკინის ოქსიდები, გოგირდის ორჟანგი და სხვა.

ილუსტრაცია 3.7. ქალაქ ბათუმში სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების რუკა - map.emoe.gov.ge



- სათბობის მრეწველობა და ენერგეტიკა
- მეტალურგიული წარმოება და ლითონთა დამუშავება
- მინერალური მრეწველობა
- ტოქსიკური, საშიში ნივთიერებების და ნარჩენების მართვა
- ქიმიური მრეწველობა
- ქაღალდის წარმოება, ხის დამუშავება
- საკვები პროდუქტების წარმოება
- სოფლის მეურნეობა
- საწვავის შენახვა, რეალიზაცია
- სხვა
- მრავალპროფილური

ქალაქ ბათუმში ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მონიტორინგს გარემოს ეროვნული სააგენტო აწარმოებს. 2021 წლის ოფიციალური მონაცემებით, ქ. ბათუმში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების მონიტორინგი წარმოებდა აბუსერიძის ქუჩაზე განთავსებულ ავტომატურ სადგურზე. ისაზღვრებოდა ატმოსფერული ჰაერის შემდეგი მავნე ნივთიერებების კონცენტრაციები: გოგირდისა (SO_2) და აზოტის (NO_2) დიოქსიდები, ოზონი (O_3), მყარი ნაწილაკები (PM_{10} და $PM_{2.5}$), ნახშირბადის მონოქსიდი (CO). ქვემოთ მოცემულია ინფორმაცია 2020 წელს ქალაქ ბათუმში ჩატარებული ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგის შედეგების შესახებ:

- გოგირდის დიოქსიდის (SO_2) 1-საათიანი და 24-საათიანი გასაშუალებით მიღებული კონცენტრაციები არ აღემატებოდა შესაბამის ზღვრულ მნიშვნელობებს.
- მყარი ნაწილაკების (PM_{10}) საშუალო წლიური კონცენტრაცია (27 მკგ/მ^3) არ აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციას; ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციას არ აღემატებოდა ასევე საშუალო სადღეღამისო კონცენტრაციების საშუალო თვიური მნიშვნელობები. PM_{10}-ის 24-სთ-იანი გასაშუალებით მიღებული კონცენტრაციები წლის განმავლობაში აღემატებოდა ზღვრულ მნიშვნელობას 24 შემთხვევაში, აქედან 12 შემთხვევა გამოწვეული იყო სინოპტიკური პროცესით - საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებული უდაბნოს (საჰარის, არაბეთის ნახევარკუნძულისა და შუა აზიის უდაბნოები) მტვრის ნაწილაკების შემცველი ჰაერის მასების გავრცელებით;
- მყარი ნაწილაკების ($PM_{2.5}$) საშუალო წლიური კონცენტრაცია (14 მკგ/მ^3) არ აღემატებოდა შესაბამის ზღვრულ მნიშვნელობას;
- აზოტის დიოქსიდის (NO_2) საშუალო წლიური კონცენტრაცია (64 მკგ/მ^3) აღემატებოდა შესაბამის ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციას 1.6-ჯერ, ხოლო 1 სთ-იანი გასაშუალებით მიღებული კონცენტრაციები არ აღემატებოდა შესაბამის ზღვრულ კონცენტრაციას მთელი წლის განმავლობაში;.
- აზოტის დიოქსიდის (NO_2) საშუალო წლიური კონცენტრაცია (48 მკგ/მ^3) აღემატებოდა შესაბამის ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციას 1.2-ჯერ, ხოლო 1 სთ-იანი გასაშუალებით მიღებული კონცენტრაციები არ აღემატებოდა შესაბამის ზღვრულ კონცენტრაციას მთელი წლის განმავლობაში;
- ნახშირბადის მონოქსიდის (CO) დღეში 8 სთ-იანი გასაშუალების კონცენტრაციები არ აღემატებოდა შესაბამის ზღვრულ მნიშვნელობას მთელი წლის განმავლობაში;
- ოზონის (O3) მაქსიმალური დღიური რვასაათიანი საშუალო კონცენტრაციები არ აღემატებოდა შესაბამის ზღვრულ მნიშვნელობებს მთელი წლის განმავლობაში.

გრაფიკი 5.1. მყარი ნაწილაკების (PM10) საშუალო სადღეღამისო კონცენტრაციების საშუალო თვიური მნიშვნელობები



გრაფიკი 5.2. მყარი ნაწილაკების (PM10) საშუალო სადღეღამისო კონცენტრაციების გადაჭარბებების დღეების რაოდენობა



ცხრილი 5.21. ავტომატურ სადგურზე PM_{10}, $PM_{2.5}$ და NO_2 გაზომვის შედეგები

ქალაქი	სადგურის ლოკაცია	PM_{10} (მკგ/მ^3)	$PM_{2.5}$ (მკგ/მ^3)	NO_2 (მკგ/მ^3)
ბათუმი	აბუსერიძის ქუჩა, №1	27	14	64

კონცენტრაციის ზღვრული მნიშვნელობა	40	20	40

ჰაერის დაბინძურების ბოლო 365 დღის მონაცემები ყველა დამბინძურებლისთვის[2], 2023 წლის 28 დეკემბრის მდგომარეობით



ცხრილი 5.22. გარემოს ეროვნული სააგენტოს სადგური მონაცემები 2023 წლის ნოემბრის თვე, (NO_2, SO_2, $PM_{2.5}$, PM_{10}, O_3 -მკგ/მ^3; CO-მგ/მ^3)

ბათუმი, აბუსერიძე, BTUM 2023-11						
დამბინძურებელი	NO_2	SO_2	PM2.5	PM10	O_3	CO
01	41.52	3.58	*	*	17.76	1.38
02	25.49	1.39	*	*	27.21	1.18
03	26.76	1.71	*	*	24.31	1.09
04	25.56	3.64	*	*	19.28	1.74
05	24.73	1.54	*	*	28.50	1.79
06	24.85	2.37	*	*	20.55	1.08
07	23.86	1.18	*	*	25.79	0.64
08	28.26	1.85	*	*	19.61	0.80
09	27.51	1.95	*	*	*	*
10	23.82	1.83	*	*	32.45	1.07
11	23.68	4.49	*	*	15.86	1.62
12	20.63	1.57	*	*	33.20	1.85

[2] ყველა დამბინძურებელი, რომელთა გაზომვაც ავტომატურ სადგურზე ხორციელდება

13	26.02	1.65	*	*	34.45	0.97
14	26.96	1.93	*	*	30.07	1.21
15	19.98	3.01	*	*	19.86	1.35
16	21.12	2.38	*	*	21.23	1.36
17	23.81	1.38	*	*	39.86	0.61
18	26.49	3.69	*	*	25.29	1.57
19	22.68	1.95	*	*	39.20	1.57
20	20.79	2.11	*	*	35.50	0.60
21	21.32	1.56	*	*	37.68	0.54
22	25.92	1.66	*	*	37.31	0.75
23	22.42	1.50	*	*	40.18	0.61
24	25.22	2.94	*	*	28.19	1.06
25	22.14	1.98	*	*	35.11	0.82
26	14.80	1.77	*	*	40.97	0.38
27	23.99	1.87	*	*	41.56	0.65
28	24.83	2.10	*	*	36.43	1.12
29	24.85	1.89	*	*	40.19	1.44
30	23.12	1.55	*	*	40.41	0.72

ცხრილი 5.23. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების კონცენტრაციის ზღვრული მნიშვნელობები

მავნე ნივთიერება	ზღვრული მნიშვნელობა	ტოლერანტობის ზღვარი	გასაშუალოების პერიოდი	დასაშვები გადაჭარბების რაოდენობა წლის მანძილზე
გოგირდის დიოქსიდი (SO2)	350 მკგ/მ3	150 მკგ/მ3(43%)	1 სთ	24
	125 მკგ/მ3		24 სთ	3
აზოტის დიოქსიდი (NO2)	200 მკგ/მ3	50%(1)	1 სთ	18
	40 მკგ/მ3	50%(1)	1 წელი	0
მყარი ნაწილაკები (PM10)	50 მკგ/მ3	50%	24 სთ	35
	40 მკგ/მ3	20%	1 წელი	0
მყარი ნაწილაკები (PM2,5)	25 მკგ/მ3	20%(1)	1 წელი	0

ნახშირბადის მონოქსიდი (CO)	10 მგ/მ3	60%	8 სთ	0
ოზონი (O3)	120 მკგ/მ3	100%	დღეში მაქსიმალური საშუალო 8 საათი(2)	25 (3 წლის გასაშუალოები ს პერიოდში)(3)

<u>შენიშვნა</u> (1) ყოველი 12 თვის შემდეგ მცირდება თანაბარწილად 0%-მდე 2025 წლის 1 იანვრისთვის.

(2) მაქსიმალური დღიური რვასაათიანი საშუალო კონცენტრაცია შეირჩევა მცოცავი რვასაათიანი საშუალო მონაცემების ანალიზით. რვასაათიანი საშუალო მონაცემი იანგარიშება საათური მონაცემების გასაშუალოების საფუძველზე და საათობრივად ახლდება. ასე გამოანგარიშებული თითოეული რვასაათიანი საშუალო მონაცემი მიეკუთვნება იმ დღეს, რომელშიც ხვდება გასაშუალოების პერიოდის ბოლო საათი. მაგალითად, პირველი გამოსათვლელი გასაშუალოების პერიოდი ნებისმიერი დღისთვის იქნება წინა დღის 17.00 სთ-დან ამ დღის 01.00 სთ-ის ჩათვლით, ხოლო დასკვნითი გამოსათვლელი გასაშუალოების პერიოდი ნებისმიერი დღისთვის იქნება ამ დღის 16.00 სთ-დან ამავე დღის 24.00 სთ-ის ჩათვლით.

(3) თუ სამი წლის საშუალო მაჩვენებელი ვერ განისაზღვრება მთლიანი და თანმიმდევრული წლიური მონაცემების საფუძველზე, მინიმალური მონაცემები მიზნობრივ ზღვართან შესაბამისობის დადგენის შემოწმების მიზნით იქნება ერთი წლის სანდო მონაცემები.

გეგმარებითი ერთეულის მახლობლად ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების ძირითად წყაროს ავტოტრანსპორტი წარმოადგენს. აქ არსებულ საავტომობილო გზებზე მოძრავი ავტოტრანსპორტი ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია საპროექტო ტერიტორიაზე არსებული ატმოსფერული ჰაერის მავნე ნივთიერებებითა და ხმაურით დაბინძურების თვალსაზრისით.

<u>ინდიკატორული გაზომვების შედეგები</u>

2021 წელს ქ. ბათუმში ჩატარდა 40 ინდიკატორული გაზომვა ოთხ ეტაპად ქალაქის ცხრა წერტილში. აქედან აზოტის დიოქსიდის - 20, ოზონის - 8 გაზომვა და ბენზოლის - 12. აზოტის დიოქსიდის ინდექსი 5 შემთხვევაში იყო ძალიან კარგი, 6 შემთხვევაში - კარგი და 9 შემთხვევაში - საშუალო. ოზონის ინდექსი 7 შემთხვევაში იყო ძალიან კარგი და ერთ შემთხვევაში - კარგი. ბენზოლის ინდექსი 4 შემთხვევაში იყო ძალიან კარგი, 5 შემთხვევაში - კარგი, 2 შემთხვევაში - საშუალო და ერთ შემთხვევაში - ძალიან ცუდი.

2021 წელს ქალაქ ბათუმში ინდიკატორული გაზომვების შედეგად მიღებული მონაცემებით აზოტის დიოქსიდის საშუალო წლიური კონცენტრაციის ნორმაზე გადაჭარბება ხუთ წერტილში გაზომვიდან დაფიქსირდა ორ ლოკაციაზე: გორგილაძის ქ. 59, „თიბისი“ ბანკთან - (51.26 მკგ/მ3) აღემატებოდა კონცენტრაციის ზღვრულ მნიშვნელობას 1.3-ჯერ, ხოლო ლუკა ასათიანის ქუჩაზე - (62.99 მკგ/მ3) 1.6-ჯერ; მიღებული შედეგების მიხედვით ბენზოლის საშუალო წლიური კონცენტრაციის ნორმაზე გადაჭარბება სამ წერტილში გაზომვიდან დაფიქსირდა მხოლოდ ერთ ლოკაციაზე - ლუკა ასათიანის ქუჩაზე - 6.8 მკგ/მ3 (1.4 ზდკ).

ამასთანავე ხდებოდა ასპირატორის საშუალებით სინჯების აღება მათში ტყვიის შემცველობის განსაზღვრის მიზნით. შესაბამისად, 2021 წელს ქალაქ ბათუმის ატმოსფერულ ჰაერში ტყვიის საშუალო წლიური კონცენტრაცია არ აღემატებოდა ზღვრულ ნორმას..

ცხრილი 5.24. ინდიკატორული გაზომვების ოთხი ეტაპის შედეგები ქალაქ ბათუმში

მისამართი / ეტაპები	აზოტის დიოქსიდი, მკგ/მ3				ოზონი, მკგ/მ3				ბენზოლი, მკგ/მ3			
	I	II	III	IV	I	II	III	IV	I	II	III	IV
მარჯანიშვილის ქ. მუზეუმთან	37.87	25.59	26.86	38.61								
